

# სპორტი

საპარტიალო სსრ ზოგადი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 ღაბაშვილი, კვირა, 1989 წ. № 286 (10 155) შპსი 8 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



პირველი გიგანტი

საქ. სპორტ. კ. მარკოსი  
საბ. კაპა, რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩამოიონანი პალატაში ქალთა შორის

## შარხანდელზე უკეთ

**გაიმართა** ბოლო ტურის სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლეონიდა ირინა ჩიოლუშკინამ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მან დაამარცხა ლეონიდა ირინა ნინა სიტნიკოვა, მოაგროვა 11,5 ქულა და მიუღწევად გახდა შეჯიბრების დანარჩენი მონაწილეებისთვის. 11 ქულით II ადგილზე გავიდა ანურ სოფიევა (ბაქო). მან ბოლო ტურში გაიმარჯვა სვეტლანა პრუდნიკოვასთან შეხვედრაში. რაც შეეხება მომდევნო I-I-V ადგილებს, 10,5-10,5 ქულით ისინი დაისაკუთრეს ქეთევან კახიანმა (თბილისი), ლილია სემიონოვა (კიევი) და იულია დომინამ (ნოვოსიბირსკი).

დასკვნით პარტიაში კახიანს მეტოქე იყო ვაროშლოვგრა დელი მარია ნეპენა. ვათამაშა მიღებული ლაზიერის გამბიტი. ქეთევანმა დებიუტშივე მოიპოვა უპირატესობა. მიტელშილი პოზიცია დაიჭრა.

კახიანმა შეწირა ხარისხი და ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღო. შემდგომში ნეპენა იძულებული გახდა დაებრუნებინა ხარისხი, მაგრამ ამან საქმეს ეერ უშველა. პარტია გადვიდა ვეტლების ენდშილიში, სადაც

ქართვლმა საერთაშორისო ოსტატმა ზედინდელ სამი პაიკი მოიგო და მეტოქემ დამარცხების ნიშნად გააჩერა საათი.

**ეს ქეთევანის დიდი წარმატებაა. იგი საკავშირო ჩემპიონატში პირველად გავიდა ხარისხ ადგილზე.** აქვე აღვნიშნავთ, რომ შარხანდელზე ჩემპიონატში კახიანი V ადგილზე იყო. ბოლო ტურის შედეგები: კახიანი-ნეპენა 1:0, სემიონოვა-შერემეტოვა 1:0, სიტნიკოვა-ჩიოლუშკინა 0:1, სახატოვა-ლეონიდა 1:0, უსკოვა-ლომკუტე 1:0, შაფრანსკა-დომინა 0:5-0,5, ველიხანო-კოზლოვსკაია 1:0, უმანსკაია-ხარკოვა 1:0, სოფიევა-პრუდნიკოვა 1:0.

შეჯიბრების დანარჩენი მონაწილეები ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: გულნარა სახატოვა — 10 ქულა, ნინა სიტნიკოვა — 9,5, ზოია ლეონიდა, მარინა შერემეტოვა, ფირუზა ველიხანო — 9-9, ფლორა უსკოვა — 8, ვალენტინა კოზლოვსკაია, სვეტლანა პრუდნიკოვა, მარია ნეპენა — 7-7, ელენა ხარკოვა, ანდა შაფრანსკა — 6,5-6,5, ირინა უმანსკაია — 6 და რენატა დომკუტე — 4,5 ქულა.

„ლელოს“ კორ.

## ლოკინგის წინააღმდეგ

საგანგაგო თათბირი მადრიდის რუზაკატან

**საპარტიალო** სპორტსაკომში გაიმართა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებთან მომუშავე მედიცინის მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სპორტში დოპინგის გამოყენების პროფილაქტიკის საკითხებს. ექიმებს გააცნეს სათანადო დოკუმენტები,

მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის მიერ დადგენილი ვრცელი ნუსხა იმ სამედიცინო პრეპარატებისა, რომელთა მიღება აკრძალულია, რადგან ისინი სტიმულიატორებს წარმოადგენენ.

## ორი განსხვავებული ტაიმი

**განმეორებითი** შეხვედრა „ლეონიდა“ და „სპარტაკი“ თბილისელ გუნდებს შორის მოხდა. სხვაობა ამ მატჩში უფრო დიდია შეიძლება ყოფილიყო, თუმცა არც საწინააღმდეგო, ჩვენთვის უსიამოვნო შედეგის გამოცხადდა იქნებოდა სწორი. მაგრამ „დინამო“ მეორე ტაიმი დიდი მონდობით, თავგანწირვით, აზარტით ჩაატარა და სასურველ შედეგსაც ამის წყალობით მიადლწია. გაიმარჯვებისთვის ბრძოლა ყოველ მატჩში სწორედ ასე საჭირო. მით უმეტეს, რომ „ტაიმი ცხობერება“ ჩემპიონატში არც ერთ გუნდს არა აქვს გარანტირებული, განსაკუთრებით იმას, ვინც სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში მხოლოდ არსებობისთვის იბრძვის.

პირველი ტაიმი ნაცნობი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრადიციული სიუჟეტური ქარგით წარმართა, სადაც „სპარტაკმა“ შეძლო თავისი კოზირების მაქსიმალური სიზუსტით გამოყენება, დინამოელები კი უსისტემოდ იგერიებდნენ მეტოქის გამუდმებულ იერიშებს. მას შემდეგ რაც ნევისპირელები მტკიცედ დაეუფლნენ ორთავე ფარს, ცხადი გახდა, რომ ჩვენს გუნდს მიზნის მი-

საღწევად სხვა რეალური გზები უნდა ეძებნა. მაგრამ პირველ ტაიმში მეტოქეთა მოქმედება მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს — სტუმრებს გამოსდიოდათ ყველაფერი. მასპინძლებს კი... სამწუხაროდ, ბევრი არ აფერი. ამიტომაც იყო, რომ მთელი ტაიმის მანძილზე „სპარტაკი“ დაწინაურებული იყო 10-12 ქულით და შეხვედრისთვის თერთმეტქულიანი უპირატესობას მიაღწია — 48:37.

მეორე ნახევარში დინამოელები, როგორც იტყვიან, „ვა ბანკზე“ წავიდნენ. და აი, აქ ინიციატივა ხელთ იგდო სანამემ, რომელმაც რამდენიმე ზუსტი სამჭულიანი სროლით შეარყია მეტოქის პოზიცია და მოჩვენებითი სიმშვილე. ლენინგრადელთა ქულათა უპირატესობა ნელ-ნელა გაქრა და 23-ე წუთისთვის მინიმუმამდე დავიდა 59:58.

ეს იყო ამ მატჩში, ალბათ, ყველაზე კრიტიკული მომენტი, რომელშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ დინამოელები, შეხვედრა და ტიუბინი. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოედანი ხუთი პერსონალური შეცდომისათვის დატოვა ტანმალაში, ხარჩენკოვმა, მაგრამ ამ დროისთვის შეხვედრის ბედი, ფაქტურად, გა-

დაწყებული იყო და ამ დანაკლისს სტუმრების თამაშზე გავლენა არ მოუხდენია.

მატჩის მიწურულს „სპარტაკი“ უკვე ბელს იყო შეგუებული და ინიციატივა განაგრძობდა ბრძოლას. მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა თბილისის დინამოელთა გამარჯვება — 90:82. ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი კლასიკურული იყენენ ლენინგრადელთა მხრიდან კოსელიოვი, თბილისელთა შორის კი შენგელია. ორთავემ თავიანთ კოლექტივს 27-27 ქულა შესძინა.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 9 დეკემბრისთვის

„ცხკა“	15	14	1	29
ვეფ (რიგა)	16	11	5	27
„კალევი“ (ტალ.)	16	10	6	26
„დინამო“ (მოსკ.)	16	10	6	26
„უალგორ“ (კაუნ.)	16	8	8	24
რტი (მინსკი)	16	8	8	24
„სპარტაკი“ (ლენ.)	18	6	12	24
ასკ (ალმა-ათა)	14	9	5	28
„შახტერი“ (დონ.)	15	5	13	28
„ბუღეველინი“ (კ.)	14	7	7	21
„დინამო“ (თბილისი)	16	5	10	20
„სტაბია“ (ვილნი)	16	2	14	18

## თქვენი მოგმართავთ. საპეციალისტავო!

**რეაქციონიზმი** განუწყვეტლივ მოდის წერილები ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების წინადადებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ჩერკეზობით არც ერთი გამოხმაურება არ მივიღეთ. სპეციალისტებისგან, რომელთა აზრს და პოზიციას ახე მოუთმენლად მოვლის ვაზნის ყოველ ნომერში მკითხველი.

ფეხბურთის სპეციალისტებს, ვეტერან ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ყველას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ფეხბურთის ბედი, დაბეჭდვითი ვთხოვთ გამოგვეხმარონ. (იხ. შპ-2 გვ.)

სამთო-სათხილამურო სპორტი

## პირველი სტარტი

**ბუდაპეშტში** გაიმართა ზამთრის სპორტის ხეზონის პირველი ასპარეზობა სამთომშობილამურეთა საქავშირო შეჯიბრება „თბილისის თასზე“.

სლოლომის ტრასაზე ვაეებში უძლიერესი იყო უკრაინის გუნდის წარმომადგენელი ვ. მიცაკი — 1 წუთი და 22,76 წამი. მეორე ადგილზე გავიდა ბაქურბანელი ლევან აბრამიშვილი — 1.23.31, მესამეზე — უკრაინელი ა. მარკოვსკი — 1.23.31. ჩვენი გუნდის ლიდერი წაღვერევი სპორტის ოსტატი ვა ორჯონიკიძე ამჯერად IV ადგილზე დასრულა. მესტიელი სპორტსმენები მამუკა დვალაშვილი და მალაზ უდესიანი შესაბამისად VI და VII ადგილებზე გავიდნენ.

ქალეში ტოლი არ ჰყავდა ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოთხილამურეს ოლგა კურატჩენკოს (ჩუხოვაია, პერმის ოლქი) — 1.30,67. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან შესაბამისად XIV და XV ადგილებზე ხვდათ თბილისელებს ანა ჩახავას და ნინო ბრეგვაძეს.

დასასრულს დავძენთ, რომ თუ ქალთა შორის სტარტზე პრაქტიკულად ქვეყნის ყველა საუკეთესო სპორტსმენი გამოვიდა. ვაეების ასპარეზობის ბედი უძლიერესი მოთხილამურე აკლდა. ისინი ახლა სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამოდიან. მიუხედავად ამისა სეზონის პირველი სტარტი ჩვენი სპორტსმენებისათვის, გასულ წელთან შედარებით, ერთგვარად დამაინტერესებლად გვესახება.

## ხელგართვი გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

### გვჭირდება ასეთი ტურნირი?

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ბოლო დღეს ფაქტიურად მეორე ადგილისთვის მიმდინარეობდა ბრძოლა, რადგან პირველი პრიზის მფლობელი უკვე გარკვეული იყო — სსრ კავშირის პირველი ნაკრები. მეორე ადგილზე გასვლის თეორიულ შანსს სამი გუნდი ინარჩუნებდა: საქართველოს ნაკრებს უნდა დაემარცხებინა ქვეყნის ახალგაზრდული კოლექტივი, ამასთან თუ პოლონეთის გუნდი სძლედა სსრ კავშირის პირველ ნაკრებს, საქართველოსა და პოლონეთის გუნდებს ქულათა ერთნაირი რაოდენობა დაუგროვებდათ. ამ შემთხვევაში კი უკვე გატანილი და მიღებული ბურთები გადაწყვეტდნენ მეორე პრიზის გინაობას.

ჯერ საბიბლეო სსრ კავშირის პირველი ნაკრები და პოლონეთის გუნდები გამოვიდნენ. ეს თამაში თითქმის „აგვიტ სენარიით“ წარმოებოდა, რაც დანარჩენი გუნდების

შეხვედრები ქვეყნის მთავარ ნაკრებთან, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ პოლონელებმა ამჯერად სანახაობრივად საქაოლ ლამაზი თამაში შესთავაზეს მაყურებელს. მაგრამ ლამაზი თამაში — ლამაზ თამაშად და... წაგებას მანც ვერ გადაურჩინენ. თერთმეტი ქულის უპირატესობით გაიმარჯვა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა — 36:25 (20:13).

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელს, საბუთთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ანატოლი ვაბუშვილს:

— ხელბურთში საერთაშორისო ტურნირი ერთადერთია მთელს კავშირში. იგი, კერძოდ, დიდ სამსახურს უწევს ჩვენს ნაკრებს. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ტურნირისაღმებ თანდათანობით იკარგება ინტერესი. ორგანიზატორებს წლეულს ექვსი ქვეყნიდან მოუვიდათ უარი შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. ახლა ჩვენი გუნ-



დი ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. სწორედ თბილისში გამოვცადეთ ნაკრების რამდენიმე კანდიდატი. ჩემი აზრით საჭიროა რამე რადიკალური ცვლილებების შეტანა ტურნირის ორგანიზაციაში, რათა გუნდებს მომავალში ცარიელი ტრიბუნების წინაშე არ უნდებოდეთ თამაში. არ ვიცი, იქნებ მართლაც ჯობდეს მომავალში თბილისის ტურნირი საქალბო გუნდებს შორის ჩატარებას?

ასეთივე აზრს გამოთქვა ჩვენი

იხ. შპ-3 გვ.

„ლელოს“ კორ.

+1

„ოცნება“ იფხვეს

ფოტოში დიდას ოცნებობდნენ საკუთარ აუზზე. და იმ, აქ საზეიმო გათარებში გაიხსნა სპორტსაზოგადოება „მართვეს“ აუზი, რომელსაც „ოცნება“ ეწოდა.

საწყლოსნო სპორტული ბაზის დირექტორი (დირექტორი გურამ თურმანიძე) ამ ღონისძიებაზე მარტო ცურვის სახეობებში არ შემოფარდნა. ზემოთ გახსნეს პირველი და მეორე საშუალო სკოლების გოგონებმა და ვაჟებმა. მათი გუნდები „არწივი“ და „თოლია“ ასპარეზობდნენ დღევანდელ — „გააკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავე და ჩვენზე უკეთ!“ მათ ძალები მოსინჯეს ღვირზე გარბენში, „გვიარბნი“ გადრობაში, ტანვარჯიშული სკამების გადაადგილებაში, ღვირზე ხელებით მოძრაობაში, ტომრებით ხტობაში, ბაგირის გადაცალვებაში...

საინტერესო იყო ექვსი წლის გვი უპირველესისა და ხუთი წლის ლამა დადიას ვაცურებები. ამ უკანასკნელმა ისე შეიყვარა წყალი, რომ მაშინ „ჩაიხრია“. ზეიმში მონაწილეობდნენ ვ. გუნდას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის მსახიობები და კულტურის სახლს მომღერლები, მოცეკვავეები.

— ოცდაათი წლებში, როცა საზოგადოებრივი საზოგადოების წარმომადგენელი საზოგადოება მოქმედებდა, ფოთელი ახალგაზრდები მხოლოდ აქ სწავლობდნენ ცურვას, — იხსენებს ბავშვთა სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი, დამსახურებული პენსიონერი პეტრე გიგინეიშვილი. — საერთოდ, ზღვისა და მიწისარის წყლებში, ღია ცის ქვეშ, ისიც მარტო ზაფხულში, ძნელია ცურვის შესწავლა. ასე რომ, ტყუილად მისაყვედურებდნენ. როგორც სპორტსკოლის დირექტორს, თქვენთან რატომ არ არისო ფართოდ დანერგული საწყლოსნო სახეობები. ფოთი წყალს მიაქვს და მოკურავები, წყალში მტკომელები, სინკრონული ცურვის ოსტატები არ გვაქვს.

ახლა გურამ თურმანიძის მონაწილეობა, დღევანდელი ქალაქის ხელმძღვანელობის, სწარმოების, ორგანიზაციების, ქალაქის სპორტკომიტეტის მხარდაჭერა შესანიშნავი საკუთარი აუზის აშენებისა და პერსპექტიული ახალგაზრდების აღზრდის პირობები შექმნა.

„ლელო“ სპ. კორ. ფოთი.

ჩვენი ენა, ქართული...

გვარდუა, მოსაგვარებლის რჩევა...

ქართული ქართველთათვის მართლ ენა რომ არ არის, ეს კარგად აისახა ქართული ენის განვითარების პროგრამაში. ამ კონცეფციის არაქტიურ განხორციელებას ისახავს მიზნად საქართველოს სპორტსაზოგადოების ბრძანება, რომელიც მოითხოვს ფიზიკურულ-სპორტულ ორგანიზაციებში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვას.

ჩვენი გაზეთის 6 დღეებში ნომერში კრიტიკული წერილის („ვიტომ გამოვალთ“) გამოქვეყნების შემდეგ გადაწყვიტეთ სხვა ობიექტებზე ვწვდით. ცურვის, ძიულსა და ფალავანთა უმაღლესი დონის სპორტის სკოლებში შეგნებულნი აქვთ, რომ სიყვარული სამშობლოსადმი მშობლიური ენის პატივისცემით უნდა იწყებოდეს — ენა, მამული, სარწმუნოება“ გამოდარა დღეს ჩვენი დღეები.

აქ საქმისწარმოება ქართული ენაზე, საბეჭდო მანქანების „გაუქართულებით“. ისე, ალბათ, დადგა

დრო, შეიქმნას ქართული საბეჭდო მანქანებიც. ბოლოს და ბოლოს, ქართულენოვანი კომპიუტერი შეიქმნას და საბეჭდო მანქანა რა ვახსნა? ცურვის უმაღლესი დონის სკოლის დირექტორმა, ნუგზარ ერატე განაცხადა, რომ სპორტსაზოგადოების მიერ მიღებულ ბრძანებას მის დაწესებულებაში არ მიუღწევია (?), მაგრამ ქართული ენის განვითარების პროგრამას რომ გაეცნენ, საქმე სწორედ დოკუმენტების გაქართულებით დაიწყო.

ფარიათის უმაღლესი დონის სკოლაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი ლუცენკო) საბეჭდო მანქანა „გადაუქართულებია“, ქართული ენაზე მბეჭდავიც მოუძებნათ (სამწუხაროდ, საქმე არი გამოსაძრავ, სულ მალე კი ეს სკოლა მთლიანად ქართული ენაზე საქმისწარმოებაზე გადავა.

ამ დღეებში სხვა ორგანიზაციებშიც ვეწვევით.

ენა ჩახვავილი.

ალბარნაბივა?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადება, შენიშვნები, მოსაზრებები

რამდენიმე მოსაზრება

ქალბან კარგია, რომ ახრთა გაზარდა დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე. მაგრამ, მითხარით, ჩემპიონატის პრესტიჟი საიდან ამაღლდება, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღეს უძლიერესმა გუნდებმა? ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მთელი ძალებით გვებრძოლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარებაზე იმავე წესით, რა წესითაც ტარდება ევროპის თასის გათამაშება. მაშინ ყოველი რესპუბლიკა შეძლებდა ჩატარებისათვის სრულფასოვანი ჩემპიონატი. ამ შემთხვევაში რესპუბლიკებს შორისაც იქნება კონტაქტი და რესპუბლიკებშიც სპორტულ მოძრაობებს (ამ შემთხვევაში ფეხბურთს) მიეცემა მეტი სტიმული. მაგრამ ამისათვის ბრძოლაა საჭირო, არა მარტო შინ, არამედ გარეთაც.

ასეთი იდეის დასაბუთება ეკონომიკურად შეიძლება. ჩვენს პირობებში, როცა ეკონომიკური მართვის მექანიზმები მორყეულია, მატჩებზე დასწრებები უმნიშვნელო, ხოლო რესპუბლიკები გადადიან სამეურნეო ანგარიშზე, სწორედ ამ ცნობილი და აპრობირებული იდეის გამოყენება გვეჩვენება ხსნის გზად.

მანამდე კი, შეიძლება ჩავგვტარებინა საქართველოს ჩემპიონატი მრავალსაფეხურიანი წესით — ეტაპობრივად. პირველი ეტაპი: ის გუნდები, რომლებიც არ მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატში შერჩეული რეგიონისა და სიძლიერის მიხედვით, ატარებენ ერთმანეთში ორ-ორ შეხვედრას შინ და სტუმრად. ავღუენ, ვთქვათ, ხუთ საუკეთესოს. მეორე ეტაპზე მათ უერთდებიან მეორე ლიგის გუნდები (რომლებიც ახლა მხოლოდ სამია) და იმავე წესით (ან ტურნირის წესით) ავღუენ რამდენიმე საუკეთესოს, მესამე ეტაპზე მათ უერთდება პირველი ლიგის გუნდები, გამარჯვებულებს კი (რამდენიმე საუკეთესოს) უმაღლესი ლიგის გუნდები, საბოლოო ჯამში აქ გამოვლინდება საქართველოს ჩემპიონი. რასაკვირველია, აქ სინქრონიზაცია არის. ამავე დროს მონაწილე გუნდებს არ ექნებათ ერთნაირი პირობები შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. სამაგიეროდ, არის მთავარი — მასში მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ყველა უძლიერესი გუნდი.

პირველი და უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის ვადების გამოწვევა შეიძლება. საჭიროა უარი ვთქვათ ფედერაციის თასისა და პირველი ლიგის თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე.

მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხებო. აქტუალურად მეჩვენება ალექსანდრე ქლენტის წინადადება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩამოყალიბების შესახებ ფეხბურთში. მთელმა საზოგადოებამ და პირველ რიგში ოფიციალურმა წრეებმა უნდა შეძლონ ამ იდეის განხორციელება. ვთავაზობ ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურას: ნოდარ ახალკაცი. საქართველოს ფეხბურთში მხოლოდ მისი ხელმძღვანელობის დროს მიაღწია ყველაზე დიდ შედეგს (ვულისხმობ თბილისის „დინამოს“).

ეროლი ზოიძე.

ქ. ბზინისკი, კალუგის ოლქი.

„დამოუკიდებლობის თასი“ — ჩინეზულია

ველაშვი ვიცი, რომ მეორე ლიგაში მოთამაშე ჩვენი გუნდები დიდ სახსრებს ხარჯავენ, შეჯიბრება კი სათანადო დონეზე არ ტარდება. ჩემი აზრით, ეროვნული ჩემპიონატში უნდა გამოვიდეს II ლიგის 8 და საქართველოს პირველობაში მონაწილე 10 საუკეთესო გუნდი. ეს თვრამეტი კოლექტივი ითამაშებს წრიული სისტემით შინ და გარეთ. თითოეულს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ოცი ფეხბურთელი. ეროვნული ჩემპიონატში გამარჯვებულს უნდა მიეცეს უფლება ითამაშოს I ლიგაში გადასასვლელ ტურნირში, საკავშირო გუნდებთან ერთად, რომლებიც გაიმარჯვებენ თავის ზონაში. გამარჯვებული გუნდი

დაჯილდოვდეს მცირე ოქროს მედლებით, ხოლო მეორე ადგილზე ვასულს გადაეცეს ვერცხლის მედლები, ამით ფეხბურთელი წახალისდება, თამაშის სტილიც ამაღლდება და ინტერესი მიეცემა ეროვნულ ჩემპიონატს.

დაწესდეს პრიზები საუკეთესო ფეხბურთელის, ბომბარდირის, მეკარისა, პერსპექტიული ფეხბურთელისა და სხვა. გამარჯვებულებს გადაეცეთ ფასიანი საჩუქრები, სუვენირები.

მხარს ვუჭერ ჩატარდეს ყველა საუკეთესო გუნდების მონაწილეობით „დამოუკიდებლობის“ თასის გათამაშება. ეს ჩინეზული წინადადებაა. იმ 18 გუნდს გარდა, საქართველოს დანარჩენმა გუნდებმა ითამაშონ ზონებში (დასავლეთი, აღმოსავლეთი, ცენტრალური). აქ გამარჯვებული ეთამაშოს 18-დან ბოლო ადგილზე ვასულ სამ გუნდს. მათში გამარჯვებულმა იასპარეზოს ეროვნული ჩემპიონატის I ლიგაში (I ჯგუფში).

გოია გოლოვნილი.

გორი.

ენაც

გავითვალისწინოთ

როცა ქართველი ფეხბურთელები საქართველოს გარეთ თამაშობენ, მათი პასუხისმგებლობა იზრდება და მეტი მონაწილეობითაა თამაშობენ. იციან, საქართველოს, თავისი ხალხის, გულშემატკივრების ინტერესებს იცავენ. ამავე რწმენით მეტი მონაწილეობით ვარჯიშობენ, მეტად იმედოვნებენ ოსტატობას. ხომ არ ჩნდება საშიშროება, რომ შემდეგ ხელი ჩაიჭიროს, სულ ერთია მაინც საქართველოში ვთამაშობთ. ხომ არ დაქინდება ჩვენი ფეხბურთი, ხოლო ქართული ფეხბურთი საერთაშორისო არენაზე თუ არ გავიდა, რა ფასი აქვს ყველაფერ ამას. მე საქართველოს ჩემპიონატის მომხრე ვარ. მაგრამ არის კიდევ ერთი საშიშროება. როცა თბილისში სხვა გუნდი ჩამოდის, მაგალითად კევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“ და ა. შ. ინტერესი ამ გუნდებისადმი მეტია და ხალხიც მიდის სტადიონზე. ვითომ საქართველო გუნდების მატჩებზე მოვა მაყურებელი? საქართველოს ჩემპიონატი თუ მართლა ჩატარდება, სასურველია უმაღლესი ლიგის მეორე გუნდი შეიქმნას თბილისში.

ოთარ ზილია.

ქ. ფოთი.

ეროვნული

ჩემპიონატი

სტიმულს დააპარბავს

ველაშვი კარგად ცნობილია რა ხდება საქართველოს ჩემპიონატში. გათამაშების ცხრილის პირველ ნახევარში ყოველთვის ეკონომიკურად ძლიერი ქალაქებისა და რაიონების გუნდები იმყოფებიან. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, როგორც ფეხბურთის სამმართველო, ისე მსახურა შორის, გამოვლინების სახით არის რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც მართლაც შესტკივთ გული ქართულ ფეხბურთზე, მაგრამ დანარჩენები?...

როდესაც საქართველოს ჩემპიონატის პრესტიჟი და ავტორიტეტი ისე ამაღლდება, რომ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდები საკავშირო პირველობებში მონაწილეობას ამოკონინებენ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ეროვნული ჩემპიონატის გაფართოებაზე.

მანამდე კი რას ვერჩით მეორე ლიგის რვა გუნდს, რომლებმაც დიდი შრომითა და ოფლის ღირით მოიპოვეს მასში მონაწილეობა?

უკუსკო კარგ შედეგს ვერ მოგეტანს და სწორი იქნება სპეციალისტთა ერთი ჯგუფის რწმენა, რომ ეროვნული ჩემპიონატი სტიმულს დაკარგავს.

ბრისხან მანია.

ფოთი.

რედაქციისათვის: გ. მანაის წერილი ვრცელი იყო, მაგრამ ხრულად ვერ დავებედეთ იმის გამო, რომ სხვა საკითხები განახილველ თემას არ ეხება, თანაც ბრალდებების დადასტურება, რომელიც გ. მანია წაუყენა ცალკეულ პირებს და ორგანიზაციებს, შეუძლებელი ხდება.

სასწაულავი...

სოველშაბრი აქისომა, სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოში ხდება სადაო. ამ დასკვნამდე მივყავანა საქართველოს ბევრმა გულსატკენმა ბედ-უკულომართობამ.

გამონაკლისი არც სპორტშია, კერძოდ ფეხბურთში. პირდაპირ სასწაულია, როცა „ლელოს“ ფურცლებზე პოლეიკა იმართება იმაზე, მივიღოთ თუ არა მონაწილეობა საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში. საერთოდ არასერიოზულად მიგვაჩნია ამ საკითხზე მსჯელობა. ჩვენი ღრმა რწმენით, სკოლს ვაფეთმა ადგილი დაუთმოს პროფესიონალ მწვრთნელებს, ძველი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენი ფეხბურთის კირ-ვარამზე ისაუბრებენ.

ჩვენი თვის სასწაულის ტოლფასია ნოდარ ახალკაცის ფეხბურთიდან იგნორირება და მის მიმართ დამოკიდებულება მიგვაჩნია უპრეცედენტო უსამართლობად.

შემართება და მხოლოდ ჰემ-მართება ყველა ეროვნულ საქმეში. აი, რა მიგვაჩნია ჩვენ მტყენეულ საკითხად, რაზედაც უნდა წარიმართოს ობიექტური და პრინციპული მსჯელობა „ლელოს“ ფურცლებზე.

დავით პრისთავი, ბივი ენუხვარი, გოგონა წარმომადგენელი.

ფეხბურთის გულშემატკივრები. ქ. თბილისი.

გთხოვთ წაიკითხოთ გოლოვნი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში აუცილებელია. რა აზრი ექნება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში, თუ თბილისში ან ლანჩხუთში არ ჩამოვლენ ისეთი გამოცდილი კლუბები, როგორებიც არიან კევის „დინამო“, „დნეპრი“, მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, „ტორპედო“, „ჟალდირისი“ ან სხვა?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩვენი ფეხბურთი კი არ ამოიღება, პირიქით, გაუფერულდება. თუ ძალა შესწევს ჩვენს უმაღლეს დაპირველი ლიგის გუნდებს, ეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი არა, საბჭოთა კავშირის პირველობაზე უნდა დამატკიცდნ. მე პირადად სულ არ მაინტერესებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, ერთმანეთს რომ „დავირის“ ჩვენი გუნდები. მაინტერესებს მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების გამარჯვებები საკუთარ და მოწინააღმდეგის სტადიონებზე (საბჭოთა კავშირის ვასუტაბით).

გავიხსენოთ ლანჩხუთის „გურიის“ წლებანდელი წარმატებები შინ და გარეთ. ვანა ჩვენ ასეთი საიმონებას მოგვანიჭებდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი? ეს მოხდა 22 გუნდთან მძაფრ ბრძოლაში, საბჭოთა გუნდების მონაწილეობით.

ვინც ფიქრობს, რომ ჩატარდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატს ფეხბურთში, იმათ არაფერი გაეგებათ სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში. ხომ უნდადათ, რომ სახელწოდება „დინამო“ შეეცვალა „გურიით“, რაც არასწორი იყო. ასევე არასწორია წინადადება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებაზე ფეხბურთში.

ო. ჯიბლაძე.

თბილისი.

იქაც და აქაც

იმ პირობებში, რომელშიც დღეს ჩვენი რესპუბლიკაა, სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა არ უნდა შევწყვიტოთ. იქ ჩვენმა გუნდებმა უნდა მიიღონ მეტი გამოცდილება და სათანადო პრაქტიკა.

თუ მოსახერხებელია, საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს ორ წრედ სხვა შეჯიბრების ხარჯზე, მაგალითად, „შეგულისხმის თასის“ ნაცვლად, გვიან შემოდგომაზე პირველი წრე საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, მეორე — გაზაფხულზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს: უმაღლესი ლიგის ორმა, I ლიგის — სამმა, II ლიგის სამმა გუნდმა და საქართველოს ჩემპიონმა, ე. ი. სულ 9 გუნდმა. ჩემი აზრით, ასეთი ჩემპიონატის ჩატარება შეიძლება.

ზ. ჩხვიაძე.

ქუთაისი.

პოკეი უნდა ვითავაზოთ!

საპარტიველოში შიბიანი პოკეით განსაკუთრებით ნდობიანი წლების დასაწყისში დინტერესდნენ. თბილისში, მაგალითად, ამ სახეობის დიდი მოთმინებითა და თანამიმდევრობით ანეთარებდნენ ცალკეული ენთუზიასტები. მაშინ ჩამოყალიბდა კიდევ ქალაქში პოკეისტთა პირველი სექციები.

სპორტის ნებისმიერი სახეობის დანერგვა-განვითარება და პოპულარიზაცია ენთუზიასტის გარდა კვალიფიციურ მწვრთნელთა კადრებისა და სპეციალური ლიტერატურის არსებობას გულისხმობს. ადრე პოკეიში ქართულ ენაზე გამოცემული მეთოდური სახელმძღვანელო არ არსებობდა, რაც გარკვეულწილად აფერხებდა ამ სპორტის განვითარებას.

ახლა ეს ნაკლიც გამოსწორდა. თ. გვიგინეიშვილის მეთოდური სახელმძღვანელო „პოკეის ანბანი“, ფაქტიურად, ქართულ ენაზე დაბეჭდილი პირველი სრულფასოვანი ნაშრომია, რომელიც პოკეით დაინტერესებულ ახალგაზრდებს დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს.

სახელმძღვანელოში, რომელიც ცხრა თავისაგან შედგება, მოკლედ და გასაგებადაა გაშუქებული თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის ძირ-

თადი ელემენტები, ახსნილია თითოეული პოკეისტის უფლება-მოვალეობანი, მოცემულია დამწყებ პოკეისტთა სისწრაფე-საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარების წესები, ვარჯიშთა კომპლექსები, ვარჯიშული სპორტული ინვენტარის, მოწყობილობისა და აღჭურვილობის თავისებურებანი.

სახელმძღვანელოს მიზანია ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ახალბედა მწვრთნელებს და მომეცადინებდეს პოკეის ნიუანსების დაუფლებაში. თბილისის ეზოებში დღეს ვიდავ შეხვედრები პოკეის ყვანჩებით აღჭურვილ კაბუკებს, რომლებიც ხალისით და ინტერესით დასდევენ თვითნაკეთ შიბებებს. ეს სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე მიგვანიშნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა თამაშის ელემენტარული წესებიც არ იცის. „პოკეის ანბანი“ ამ ნაკლის აღმოფხვრასაც ისახავს მიზნად, ოღონდ სპორტის, რომე სახელმძღვანელო ყველასათვის მისაწვდომი გახდეს და ამ მიზნით მასობრივი ტირაჟით გამოიცეს.

სურათზე: თ. გვიგინეიშვილი ახალგაზრდა პოკეისტების ვარჯიშებაში.





# იხალისა-90

## „დიდი ფეხბურთი“ პარადიულ ქალაქში

### გვერდები

### ასათი ტენისი

(დასასრული)

**იტალიის** დედაქალაქი ამ დღეებში დიდი საერთაშორისო ფეხბურთის რიტებით ცხოვრობს. რომში, მორთულია ფიფას ალმებით, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე სახელმწიფოების დროებით, ყველგან ნახავთ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლოურ გამოსახულებას, რომელსაც აქ „ჩაოს“ უწოდებენ.

გუშინ რომში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინასწარი ჯგუფების წილისყრა, წინა დღეს კი სასტუმრო „მილანში“ შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელშიც იმსჯელა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, პლანეტაზე ფეხბურთის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ზანაძის ლეგატების შემდეგ აღმასკომმა განსაზღვრა ის 6 გუნდი, რომლებსაც წინა წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად დაეკისრა წინასწარი ჯგუფების მეთაურობა. ჩემპიონატის მასპინძლები იტ-

ალიელები გაამწესეს პირველ ჯგუფში, სასტარტო თამაშებს ისინი რომში გამართავენ, არგენტინის გუნდი გაემგზავრება ნეაპოლში, ბრაზილიისა — ტურინში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — მილანში, ბელგიის — ვერონაში, ინგლისის — კალიარში.

კარგი სიახლეა ვათავალისწინებელი ქალათვის: 1991 წლის ნოემბერში ფიფას ეგიდით ჩინეთში პირველად გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. ამავე დროს მიიღეს ჩილის გუნდისთვის უსამართლო დადგენილება: იმ ინციდენტისთვის, რომელიც ბრაზილიისა და ჩილის შესარჩევი მატჩის დროს მოხდა, ჩილის ხატები დისკვალიფიცირებულია, მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც კი. შეაკრი სასჯელები დაედოთ არა მარტო მოთამაშეებს, არამედ ექიმებს, გუნდის ხელმძღვანელებს და ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებსაც. ფიფას-

აღმასკომის ეს გადაწყვეტილება თანდათან გაფრთხილება სხვა გუნდებისთვის. საერთოდ, ამ სხდომაზე დიდი ადგილი დაეთმო გუნდების მოქცევას მინდორზე და მათსავე უფლება მიეცა, რომ გამოეხატათ თავი. ტრიბუნებზე მომავალში ყოველგვარ დაღვევას მკაცრი სანქციები მოყვება.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უფლება ექნებათ მხოლოდ 23 წლამდე ფეხბურთელებს. მეტად მნიშვნელოვანია ის დადგენილებაც, რომ მხოლოდ მკაცრი კონტროლის ქვეშ წარმართება უცხოურ კლუბებთან ფეხბურთელთა კონტრაქტების გაფორმება. დამრღვევებს ახალი წესით, ავტომატური დისკვალიფიკაცია ექნება.

აღმასკომმა განიხილა იმ სპეციალური კომისიების ანგარიშები, რომლებმაც შეამოწმეს იტალიის ქალაქების სტადიონები, სადაც 1990 წლის 8 ივნისიდან 8 ივლისამდე გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის

ფინალური ტურნირის მატჩები. პრაქტიკულად ყველა სტადიონის მონაწილეთი გამოითქვა კრიტიკული შენიშვნა, ზოგიერთი მათგანი ფრიად სერიოზულია, მართალია, არაგის აუქვებს, რომ ყველა ამ სტადიონზე შეიძლება ჩემპიონატის თამაშების ჩატარება, მაგრამ გადაუჭრელი საკითხები და პრობლემები მაინც არის.

რაც შეეხება „იტალია-90“-ის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორს ლუკა დი მონტეკემოლოს, მან განაცხადა, რომ იტალიაში ყველაფერი გემგმის შესაბამისად მიმდინარეობს, სამუშაოები გემგმის შესატყვისად სრულდება, საჭირო დროისთვის ყველაფერი სრულწესრიგში იქნება.

როგორც იტალიური გაზეთები წერენ, „ბურთის წელიწადი“ ანენინის ნახევარკუნძულზე უკვე დაიწყო და ამ ქვეყანაში ყველაფერს გააკეთებენ მსოფლიო ჩემპიონატის ღირსეულად ჩასატარებლად.

რესია, როდესაც ერთი გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებს მეორეს, წინასწარ იცის, რომ „ბეჭებზე დადგნ“ მას. საკლებო გუნდები რომ მოგვეყვია, ვეჭვობ, ვაცილებით მეტი მონასარგებ ჩამოვიდოდა და ტურნირი საახალბრივად ბევრად დაძაბული და სინტერესო იქნებოდა. ამჯერად, როდესაც მასში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობს, ბევრი თავს არიდებს ტურნირს. არადა, ეს ტურნირი მართლაც მსოფლიო პირველ ნაკრებს აძლევს ხელს, რომელიც თბილისში, როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება ხოლმე.

საქართველოს და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდის შეხვედრას პირინციული მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვებული მეორე ადგილზე გადიოდა. ასპარეზობა მეტად სინტერესო და იწვევს, ინიციატივა თავიდან ახალგაზრდებმა აიღეს ხელში და დაწინაურდნენ კიდევ. სტაბილური სამართბურთის მიაღწია, მაგრამ პირველ ნახევარში ჩვენმა გუნდმა შეძლო მრავალმხრივობის გამოსწავლება, 23-ე წუთზე სივალისაგან გაათანაბრა ანგარიში — 10:10. ტაიმის ბოლომდე დამაჯერებელ უპირატესობას ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია, პირველი ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ახალგაზრდულმა ნაკრებმა მარტე შეძლო ერთი ბურთის გატანა და დაწინაურდა — 13:12.

შესვენების შემდეგაც არ გამოკვეთილა რომელიმე მხარის უპირატესობა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველ ხელბურთელებს რამდენჯერმე შეეძლოთ წინ გასვლა. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ახალგაზრდული ნაკრები 4 ქულა იგებდა. დარჩენილ დროში ჩვენმა ხელბურთელებმა ქულათა სწავობის მხოლოდ მინიმუმამდე დაყვანა შეძლეს — 24:25.

გვესალუბრება ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ბერიაშვილი.

— ტურნირმა მაინცდამაინც დიდი ვერაფერი შეგვძინა, სულ მალე (16-17 დეკემბერს) ქვეყნის ჩემპიონატის მიმდებარე მატჩები გველის ტაშეკენში, სადაც ყაზახეთის და უზბეკეთის გუნდებთან მოგვეწყვეს თამაში. ჩვენი ამოცანაა მოვავროთო ქულათა მაქსიმუმი, რათა შევასრულოთ დასახული მიზანი — დაბრუნდეთ უმაღლეს ლიგაში.

### ამნისტია...

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორმა ოციცილურად გამოაცხადეს, რომ მსოფლიოს უძლიერეს 4 ნაკრებს შორის.

ეს ჩვენი ამოცანის მინიმუმია, — თქვა ა. ვიჩინი. — მაგრამ, რატომ უნდა ვითამაშებთ უფრო მაღალი შედეგისთვის. ტურნირზე მონაწილეობა უადრესად დაძაბული, სერიოზული ბრძოლა, გამარჯვების თანაბარი შანსი იტალიელებთან ერთად აქვთ, გერმანელებს, არგენტინის, ბრაზილიის, ვერონის ფედერაციული რესპუბლიკის, სამბუოთა კავშირისა და ინგლისის გუნდებს.

**არაბეთის** გაერთიანებული საემიროების ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალ ნახ იანი ცდილობს მასპინძლები სიმპათიებით განაწყოთ თავისი გუნდის მიმართ, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა ცდი-

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

ლობს მოქრთამოს სასტუმრო „ექსპლსიორის“ მომსახურე პერსონალი და საამისოდ არავითარ ხარჯს არ ერიდება. პრეზიდენტმა მდიდრული ვახშამიც მოუწყო სასტუმროს ადმინისტრაციას და რიგით პერსონალს.

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფინალისტთა წილისყრისთვის რომის სპორტის სასახლეში გადიდრებული დაცვის თანხლებით მოიტანეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს თასი. საპატიო ესკორტი შედგებოდა ორი ჯაგუარისგან, პოლიციის 6 სპეციალური მანქანისა და ათეული მოტოციკლისგან. წილისყრისთვის საგანგებოდ მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი გენერალური დირექტორის ლუკა დი მონტეკემოლოს მეთაურობით. ყურნალობისთვისა და სტუმრებისთვის საგანგებოდ მოეწყო დასვენების ოთახები, ბუფეტში შე-

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებისთვის დაამზადეს სიმბოლოური პრიზი. ესაა მოცულობის რიზი ბურთი, რომელიც 50 სანტიმეტრის სიმაღლის პოსტამენტზე დგას. პრიზი დამზადებულია პლატინისგან და 12 კილოგრამს იწონის. მას მიაკუთვნებს მსოფლიოს 19 ქვეყნიდან არჩეული 1000 ქურნალისტის ერთობა.

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ ფინალური თამაშების წინ გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სტატისტიკური მონაცემები. აღინიშნულია, რომ ჩატარებულ 295 შესარჩევი მატჩში გაიტანეს 692 ბურთი, რაც საშუალოდ 2,35 გოლს უდრის ყოველ თამაშში.

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

გამოიყენეს ვან ბასტენმა, დანადონიმ, რიკარდმა, მაგრამ საბოლოოდ თამაში მასპინძლებმა მაინც მოიგეს; ერთადერთი გოლი ესპანელთა კარში 55-ე წუთზე გაიტანა ევანიმ.

აღსანიშნავია, რომ „მილანა“ მაინამდე არც ერთხელ არ ყოფილა ამ საპატიო პრიზის მფლობელი.

ახლა ყურადღების ცენტრშია 17 დეკემბრის მატჩი ტოკიოში საკონტინენტაშორისო თასზე. იტალიის „მილანი“ შეხვედრა კოლუმბიის „მედელისს“.

### მთავარი პრიზი, როგორც იცით, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა, შემდეგ მოდიან სსრ კავშირის ახალგაზრდული, პოლონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. საუკეთესო მოთამაშე გახდა ქვეყნის პირველი ნაკრებისა და მისისკის ასკს წევრი, საერთაშორისო კლასის საბურთის ოსტატი, 23 წლის მინალო იაკიმოვიჩი. იგი ტურნირის მთავარ ბომბარდირადაც აღიარეს — 29 ბურთი. დასახელებს აგრეთვე საუკეთესო მოთამაშეები დანარჩენი გუნდებიდან: ოლეგ სპრონოვი (სსრ კავშირის ახალგაზრდული), რობერტ სკალსკი (პოლონეთი), ვლადიმერ ჟუკი (საქართველო).

### ბანიხილავს ფაქრასიის პრეზიდიუმი

სსრ კავშირის თასის მერვედფინალის თამაშზე მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორცეს“ შორის ფეხბურთის მოვევარულები ინფორმირებულები არიან. ოდესელებმა პირველ შეხვედრაზე შინ მოიგეს ანგარიშით 1:0, მერე კი, მოსკოვში არ ჩავიდნენ საპასუხო მატჩზე და უცხოური ტურნე ამჟამინეს. ამიტომაც მათ წაგება ჩაეთვალა. ეს საქმის ერთი მხარეა, მეორე კი ისაა, რომ ზმა გავრცელდა, თითქოს, თამაშის მსაჯმა პ. ბალიანმა მატჩის ოქშში აღნიშნა „ჩერნომორცის“ გამოუცხადებლობა და მას წაგება ჩაუწერა ანგარიშით 0:3. მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეში არ შეეფერება, პ. ბალიანმა ოქშში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ჩერნომორცი“ თამაშზე არ გამოცხადდა და სხვა აღნიშვნა არ გაუკეთებია.

ეს საკითხი განიხილა სსრ კავში-

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

რის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ, დადგინდა, რომ როგორც პირველი, ისე მეორე თამაშის გადატანაზე დიდი კამათი იყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაშიც და საკავშირო სპორტსაკომის ფეხბურთის სამმართველოშიც. სხდომაზე განსახილველად წამოიჭრა ორი წინადადება: ჩატარდეს გამორჩეული შეხვედრა 1990 წლის გაზაფხულზე, ან „ჩერნომორცის“ ჩაეთვალოს დამარცხება. სპორტტექნიკური კომისიის უმრავლესობამ ხმა მისცა პირველ წინადადებას, ე. ი. საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორცის“ შორის შედგეს გასად.

სპორტტექნიკური კომისიის წინადადებას 18 დეკემბერს განიხილავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფედერაციამ განცხადებით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომ იაპონიას სურს მასპინძლობა გაუწიოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. ამის შესახებ იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა თქვეს:

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

გამოიყენეს ვან ბასტენმა, დანადონიმ, რიკარდმა, მაგრამ საბოლოოდ თამაში მასპინძლებმა მაინც მოიგეს; ერთადერთი გოლი ესპანელთა კარში 55-ე წუთზე გაიტანა ევანიმ.

აღსანიშნავია, რომ „მილანი“ მაინამდე არც ერთხელ არ ყოფილა ამ საპატიო პრიზის მფლობელი.

ახლა ყურადღების ცენტრშია 17 დეკემბრის მატჩი ტოკიოში საკონტინენტაშორისო თასზე. იტალიის „მილანი“ შეხვედრა კოლუმბიის „მედელისს“.

### მთავარი პრიზი, როგორც იცით, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა, შემდეგ მოდიან სსრ კავშირის ახალგაზრდული, პოლონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. საუკეთესო მოთამაშე გახდა ქვეყნის პირველი ნაკრებისა და მისისკის ასკს წევრი, საერთაშორისო კლასის საბურთის ოსტატი, 23 წლის მინალო იაკიმოვიჩი. იგი ტურნირის მთავარ ბომბარდირადაც აღიარეს — 29 ბურთი. დასახელებს აგრეთვე საუკეთესო მოთამაშეები დანარჩენი გუნდებიდან: ოლეგ სპრონოვი (სსრ კავშირის ახალგაზრდული), რობერტ სკალსკი (პოლონეთი), ვლადიმერ ჟუკი (საქართველო).

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფედერაციამ განცხადებით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომ იაპონიას სურს მასპინძლობა გაუწიოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. ამის შესახებ იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა თქვეს:

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

გამოიყენეს ვან ბასტენმა, დანადონიმ, რიკარდმა, მაგრამ საბოლოოდ თამაში მასპინძლებმა მაინც მოიგეს; ერთადერთი გოლი ესპანელთა კარში 55-ე წუთზე გაიტანა ევანიმ.

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

აღსანიშნავია, რომ „მილანი“ მაინამდე არც ერთხელ არ ყოფილა ამ საპატიო პრიზის მფლობელი.

### მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

ახლა ყურადღების ცენტრშია 17 დეკემბრის მატჩი ტოკიოში საკონტინენტაშორისო თასზე. იტალიის „მილანი“ შეხვედრა კოლუმბიის „მედელისს“.

### მთავარი პრიზი, როგორც იცით, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა, შემდეგ მოდიან სსრ კავშირის ახალგაზრდული, პოლონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. საუკეთესო მოთამაშე გახდა ქვეყნის პირველი ნაკრებისა და მისისკის ასკს წევრი, საერთაშორისო კლასის საბურთის ოსტატი, 23 წლის მინალო იაკიმოვიჩი. იგი ტურნირის მთავარ ბომბარდირადაც აღიარეს — 29 ბურთი. დასახელებს აგრეთვე საუკეთესო მოთამაშეები დანარჩენი გუნდებიდან: ოლეგ სპრონოვი (სსრ კავშირის ახალგაზრდული), რობერტ სკალსკი (პოლონეთი), ვლადიმერ ჟუკი (საქართველო).

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

„ლივერპული“	16	38-17	30
„ასტონ ვილა“	16	27-16	30
„არსენალი“	16	28-17	30

# სამარანი: „უსლილოთ, ტრადიციას არ უკლავით“

**სამარანი** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანი პოლონეთის სან-ტოშეში სააგენტო „საბერარეს-ში“ შეხვდა ქვეყნის ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენლებს. ვარშავის გაზეთმა „კურიერ პოლსკი“ გამოაქვეყნა პრეზიდენტის საუბარი, რომელშიც მან ნაწილობრივ უპასუხა შემდეგ კითხვებს:

**● ბატონო პრეზიდენტო, დასავლეთში ყველგან დაბრუნდნენ პოლონეთის მიმართ ეკონომიური დახმარების აღმოჩენაზე. შეგვიძლია თუ არა ამჟამად დახმარებაზე ვიფიქროთ ხარისხით?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენთან სპორტის გაცდობით უკეთეს დაგეგმვაშია, ვიდრე ეკონომიკა. შეეცადეთ გამოიყენოთ თქვენი პოტენციალი. 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ალბერტისა და ბარსელონაში ჩატარდება, პოლონელი სპორტსმენების წარუმატებლობა, ალბათ, ძლიერ გაუტყუებს იმედებს საზოგადოებას.

**● თანამედროვე სპორტში „შავ ჰორიზონტს“ ითვლება. ითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ პრობლემის სამართლებრივ მოწესრიგებას?**

— ჩვენი სამედიცინო კომისია გულგულად იკვლევს არ ზის. დიპინგის მიღების თითოეული შემთხვევა სერიოზულად ანალიზდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად მართლ სპორტსმენები არ არიან დაზარალებულნი. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ შესაბამის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, ექიმებს. მაგრამ ეს მოითხოვს მთავრობასთან და საერთაშორისო ფედერაციებთან სამართლებრივ რეგულირებას. ბენ

## წინადადება

### დაგეგმვითი აპრიკული ფეხბურთი

**გოლო** ხანებში საქართველოში სპორტის მრავალი ახალი სახეობა დაიწყო, რომლებზეც უწინ მხოლოდ შორეული, ბუნდოვანი წარმოდგენა თუ გვექონდა, მაგრამ ახლა დრო შეიცვალა, ჩვენში ფეხი მოიკიდა ამ სახეობებშიც და ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს. ასე დაიწყო კერძო, ფრისტილი, ბრიჯი და მრავალი სხვა. საქართველოში სპორტსმენებმა ამ სახეობებში უკვე მიღწეის გარკვეულ წარმატებებს.

ახლა დღის წესრიგში დგას ამერიკული ფეხბურთის დანერგვისა და პოპულარიზაციის საქმე. შესაძლოა, სპორტის ეს სახეობა ჯერ კიდევ უცხო, ეგზოტიკური ხილად გვეჩვენება, მაგრამ მას ახლოს გავეცხოვებით, შევისწავლით და ფართოდ ჩავშავებთ ახალგაზრდობას. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში დაგვეპირდება შესაბამისი თვალსაზრისით მასალა, ცინოსურათები, ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, ამერიკულ ფეხ-

ბურთის უცხოეთის მრავალ ქვეყანაში მისდევენ, იმართება საერთაშორისო შეჯიბრებები და, შესაძლოა, ქართველებმაც თავი გამოიჩინონ ამ ახალ სარბიელზე.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში უკვე შეიქმნა ამერიკული ფეხბურთის კავშირი, მოსკოვში ჩამოყალიბდა კლუბი „მოსკოველი დათვები“, რომელიც, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს ევროპული ტურნირის პირველ ეტაპზე დანიში, გამორიკა, რომ „მოსკოველი დათვების“ გარდა ამერიკული ფეხბურთის გუნდები არსებობს ურალის სხვადასხვა ქალაქში.

სულაც არ ვაპირებ ჩამოვრჩეთ მოსკოველებს და ურალელებს, ამიტომაც საჭიროა ხელოვნურად ჩვენში ამერიკული ფეხბურთის ჩამოყალიბების საქმეს, თავიანთი გადამწყვეტი სიტუაცია უნდა შექმნათ ენთუსიასტებმა, ინიციატორებმა, ამერიკული ფეხბურთი ფართოდ უნდა დაეწიროს საქართველოში.

**● ერთ ყველაზე უფრო მთავარ ხაზში უნდა ჩაითვალოს სპორტის სწრაფი კომერციზაცია. რას ფიქრობს ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი?**

— გარწმუნებთ, ვცდილობთ ტრადიციებს არ ვუღალატოთ. მაგალითად, არასოდეს ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას არ იქნება რეკლამა. მეორე მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვუთხარათ სპონსორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტი ბევრ ქვეყანაში ძალიან ჩამორჩებოდა. თუმცა ფულის მფლობელებმა უნდა გაიზიარონ ჩვენი იდეები და არ გვიქარახონ თავისი. ამის ჩვენ მტკიცედ დავიცავთ.

**● საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგებში მოხვედრას ცდილობს პაულისტინა: როგორ უყურებთ ამ ამბავს?**

— ამ საკითხებს ერთი წლის შემდეგ შევეხებით ტოკიოში გამართულ კონგრესზე. ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

**● თქვენი გადაწყვეტილება, ოთხი წლით დატოვოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის პოსტი თუ ითვალისწინებს გადახედვას?**

— რა თქმა უნდა. თუმცა ვიმედოვნებ, რომ მანამდე კიდევ შევძლებ სარგებლობის მოტანას.

## სამარანი კომპოზიცია

### კვლავ მეოთხე ადგილზე

**ჩვენ** რუბრიკის პირველ გამოცემაში, რომელიც 1986 წლის 19 ოქტომბერს გამოჩნდა „ლელოს“ ფურცლებზე, დისტანტმა წერილი „საბატიო შედეგი“. იგი მკითხველებს მოუთხოვრდა საბჭოთა კავშირის საკადრაკო კომპოზიტორთა XII გუნდურ პირველობაზე, სადაც საქართველოს ნაკრებმა გუნდმა საბატიო მეოთხე ადგილი დაიკავა რუსეთის, უკრაინის და მოსკოვის ძლიერი გუნდების შემდეგ. მართლაც, ლენინგრადის, ბელორუსიის, ლატვიის გალი კლასის კოლექტივების გასწვრივ მაშინ სასიამოვნო სიურპრიზს გავა და ზოგიერთმა სპეციალისტმა იგი შეიძლება „ბედის გაღივებადაც“ ჩათვალოს.

ახლანდელი კომპოზიციის ცენტრალურმა კომისიამ დაამტკიცა მორიგი XII საკავშირო გუნდური პირველობის (1987-89 წწ.) საბოლოო შედეგები: I ადგილი — უკრაინა (124,2 ქულა), II — მოსკოვი (102,1), III — რუსს (100,9), IV — საქართველო (95,7), V — ბელორუსია (89), VI — ლენინგრადი (87,1), VII — ლატვია (80,9), VIII — აზერბაიჯანი (74,3), IX — მოლდავეთი (40,4), X — ყაზახეთი (38,7), XI — უზბეკეთი (31,4), XII — სომხეთი (28,5), XIII — ლიტვა (27,3).

როგორც ვხედავთ, ჩვენი გუნდის შედეგი იგივეა, თუმცა ეს პირველობა შეცვლილი სისტემით ჩატარდა. ამჯერად პაულობა ათის ნაცვლად 6 დაფაზე (ორი, სამი, მრავალწლიანი ამოცანები, ეტიუდი, ნაღმშაბათი, თვითშაბათი) მიმდინარეობდა. აქედან ორთოდოქსულ ქანრებში ჩასათვლელ ქულებს 2-2 საუკეთესო ნაწარმოები იძლეოდა, ხოლო „ნაღმარულ ჰადრავში“ კი — თითო-თითო. კომპოზიციებს მსაჯები 15-ბალიანი შეაღი თვალსაზრისით.


ახლა წარმატება ისევ ჩვენი გუნდის მონოლითურობამ, კარგმა შემოქმედებითმა განწყობამ და რესპუბლიკის სპორტსაკომისიის ყურადღებამ განაპირობა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: თბილისელები — გ. ნაღარეიშვილი, ვ. კალანდაძე, რ. თავარიანი, მ. გოგბერაშვილი, ი. აკობია, ვ. ნეიძე (კაბიანი), აწვანსენებელი ი. კრიხელი და შ. სუხიტაშვილი (გორიანი), დ. გურგენიძე (საგარეჯოს რ.), გ. მისიაშვილი (რუსთავი), ჯ. მახათაძე (ზესტაფონი). მათგან გუნდს ყველაზე მეტი ჩასათვლელი ქულა მისცეს: ვ. კალანდაძემ — 20,2, შ. სუხიტაშვილმა — 19,5, რ. თავარიანმა — 17,8, რომლებმაც ორ-ორ დაფაზე იასპარესეს.

**„სპორტლოტო 5 86“-დან:** ტრავში დაშვებულია 15.882.382 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.753) — 122, სამისთვის (212.70) — 6.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტრავში დაშვებულია 1.469.801 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (49) მოგება 1.075 მანეთია, ოთხისთვის (2.192) — 30, სამისთვის (34.003) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 32.478 ვარიანტი. 6—0, 5—2, 4—49, 3—831.


### შ. სანიტაშვილი, 1989



შამათი 2 ხელაში

ორსულიანი ამოცანის დაფაზე მოსკოველმა მსაჯმა ა. ლობუსოვმა პირველობის მონაწილეებს შემდეგი დაფაზე შესთავაზა: „თეთრი და შავი ფიგურის ორთაბრძოლა“. შერგოლ სუხიტაშვილმა ორთაბრძოლის პერსონაჟებად თეთრი კუ და შავი ლაზიერი აირჩია. 1. კვ2? (მუქარა 2. f4X), მაგრამ 1. ...ლდ3+!, თუ 1. კვ4? მაშინ ლი6!, 1. კვ5? ლხ1!, 1. კხ7? ლე4! ამოცანას ხსნის 1. კვ8! და ახლა შავი ლაზიერი უკვე უძლეურია დაცვას მეფე: 1. ...ლდ3+ ლე4, ლხ1 2. მფ3, ლა7, ლდ7X. საყურადღებოა, რომ სხვა მცდარ კვლებში ლაზიერთა ორთაბრძოლა თეთრი „დედოფლის“ მარცხით მთავრდება: 1. ლფ8? ლე7!, 1. ლფ5? ლე4! შინაარსიანი და შთამბეჭდავი ნაწარმოებია!

### რ. თავარიანი, 1989




შამათი 3 ხელაში

მრავალსულიანი ამოცანის დაფაზე ბელორუსმა მსაჯმა ვ. გებელტმა საკმაოდ რთული და კონკრეტული დავალება წარმოადგინა: „შამათი 2 ვარიანტში შავი ფიგურის მიერ ხაზის განთავისუფლების შედეგად ცხადდება. ეს განთავისუფლება კი უნდა მოხდეს ჯერ ხელშემშლელი შავი ფიგურის აღებით და იმ უჯრაზე ახალი შავი ფიგურის მიტყუ-

## ხალხმანელი შამათი

ებით, ხოლო მეფეც ამ უკანასკნელს ვაწყვეტავს. 2. მ:კ3+ (მუქარა: ხელშემშლელი მ:კ3+ ალფო) უ:მ3 (მთხდა ახალი ხელშემშლელი ფიგურის d3 უჯრაზე მიტყუება) 3. მ:ფ3+ ე:ფ3 (ეტლი თებრებმა გაიტყუეს და d ხაზი განთავისუფლდა) 4. ლდ4X. თუ შავებმა თავს დაიცვევენ 1. ...კვ5, მაშინ 2. მ:ფ3+ ე:ფ3 3. მ:დ3+ ე:დ3 4. ლ:ხ5X. მაგრამ არსებობს ამ მცდარი თებატური თამაშის უარყოფელი სვლა 1. ...მფ5!

რევაზ თავარიანის ამოცანას ხსნის 1. ლფ1! მუქარით 2. მ:ფ3+ და ახალი ფიგურის მიტყუებით შამათით: 4. ლ:ფ4X, ასევე 1. ...კვ5 2. მ:დ3+ და 4. ლ:ხ5X. სინტერესო ექო-თამაშებზე აგებული ნაწარმოებია. ამოცანასწორად გათავაზობთ ველი მირ კალანდაძის ხუთფიგურის („ნაწაწა“) ტყუპ-ამოცანას, რომელიც ლიტველი მსაჯის ბ. გელბერნასის დავალებზეა („ნაღმშაბათი მხოლოდ თეთრი მეფის და ლაზიერის მონაწილეობით“) შედგენილი.



ნაღმშაბათი 3 ხელაში

ამოცანას მირ ამოსხნა აქვს: ა) დიავრის ორხელდით, ბ) თეთრი მეფე a1 დასვით h1 უჯრაზე. ველთი თქვენს ამოსხნებს, ძვირფასი მეგობრებო!

### ამოსხნა

„ლელოს“ 29 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ლ. კუბელის ოთხსულიანი ამოცანის ამოსხნაა: 1. ეე1! e5 (1. ...e2 2. f4) 2. ეფ1! (ჩასაფრება!) e4 3. fe2+ მფ5 4. f4X. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოთავაზა სწორი პასუხი: გ. ზარდაშვილი (გურჯაანი), ვ. გიქოშვილი (უღე, ადიგენის რ.), მ. ყაულაშვილი (რუსთავი), გ. ელი-ოსიძე (ბორჯომი), ჯ. ნიქაბაძე (ათისი), ია და გ. ქეაღუქი (სოსლამი), ნ. და რ. კახიძე (ბათუმი), მერი და ა. ჩაფჩაძე (მთიანეთი), ზ. ცინცაძე (ყველა — თერგოლა), მ. ნიქაძე, ვ. და დ. ტაბლიაშვილები, ო. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

## ნსლ-ის სიურპრიზები

**ნიუ-იორკი.** ნსლ-ის პოკისტთა ჩემპიონატის მორიგი მატჩები მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა. ასე მაგალითად, „ადამის“ ჯგუფში ერთ-ერთი ლიდერი „ბუფალო სენიბრი“ აუტსაიდერთან „ნიუ-იორკ ილენდერსთან“ დამარცხდა — 0:3. ამის მიუხედავად 40 ქულით (29 შეხვედრიდან) „ბუფალო“ პირველ ადგილზეა.

„პატრიკის“ ჯგუფში „ნიუ-იორკ რინჯერსმა“ აჯობა „ნიუ-ჯერსი დევილს“ (5:3), დაგროვა 34 ქულა და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. „ნორისისა“ და „სმიტის“ ჯგუფში 33-33 ქულით ლიდერები

არიან (შესაბამისად) „მინესოტა ნორტ სტარზი“ და „ედმონტონ ოილერსი“.

„ვანკუვერ კენაქსი“ მოთამაშე იგორ ლარიონოვმა „ლოს-ანჯელეს კინგზთან“ ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა — 4:5. „კვებეკ ნორდიის“ შემადგენლობაში მეორე მატჩი ჩატარა მეკარე სერგეი მილნიკოვმა.

სხვა მატჩებიდან ილანინშაგია: „პიტსბურგი“ — „ვაშინგტონი“ 5:3, „მონიკალი“ — „მინესოტა“ 4:1, „ჩიკაგო“ — „ტორონტო“ 6:4, „ვიინიპეგი“ — „კალგარი“ 4:3.

## ლეიკ-პლენის ნასვლად — კალგარიში

**სანიტაშვილი** საერთაშორისო ფედერაციამ (ფილ) 1990 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარების ნება დართო ამერიკას. ამისათვის მომავალმა მასპინძლებმა ივალდებულეს, რომ ლეიკ-პლენში, სადაც 1980 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართა, თებერვალში უკვე მზად ექნებოდათ ოლიმპიადის-80-ისათვის აგებული კომპლექსი სპორტსა და მსოფლიო ტრასა, რაც სპორტსმენთა მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ამისათვის უნდა დაედაბლებინათ

ტრასის ზედა ნაწილი, ქანის ასაღებად მონაკვეთი კი გაეფართოვებინათ. ფილ-ის წარმომადგენლის მიერ საკონტროლო დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ტრასაზე არაფერი შეცვლილა და ამერიკელი ორგანიზატორები არც აპირებენ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადების საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნათა შესრულებას.

ამიტომ ფილ-ის აღმასკომმა ლეიკ-პლენის ჩამორთვა მსოფლიო პირველობის ჩატარების უფლება და იგი შარშანდელი თეთრი ოლიმპიადის ქალაქ კალგარის გადასცა.

**რედაქტორი**  
**თ. ბაჩინილაძე.**

**თბილისის სპორტის სასახლეში 18-16 დეკემბერს ჩატარდება სამარანი ოლიმპიური კრიზისი ახალგაზრდობის შორის.**

მონაწილეობენ: კუბის, უნგრეთის, ბულგარეთის, ვარსი, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ფინეთის, თურქეთის, პოლონეთის, დანიის, სსრკ-ის, საქართველოს გუნდები.

დასაწყისი: 13, 14, 15 დეკემბერს — 12 და 18 საათზე, 16 დეკემბერს — 12 საათზე.

იქვე ჩატარდება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი მძიმე წონებში.

დასაწყისი: 14, 16 დეკემბერს 12 საათზე.

**ჩვენნი მისამართი:**  
წერილებისთვის — 380000,  
თბილისი, ლენინის ქ. 14,  
დღეისთვის — თბილისი, „ლელო“.

**კვლავიანი ბაღაუთნები:**  
წერილების განყოფილება — 98-97-55,  
სამწველი — 98-97-53,  
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,  
„მეგობარი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.

**ჩვენნი მისამართი:**  
წერილების განყოფილება — 98-97-55,  
სამწველი — 98-97-53,  
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,  
„მეგობარი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.

**საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორგანიზაციის სტამბა.** 250000, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცნებები წიგნთა საგზაო კარტუზი: სიონაშვილი, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578